# "3DCAM for assessment of delirium using the confusion assessment method (with optional severity score)"

[მეთოდის საავტორო უფლება 2003, ჰოსპიტლის პროგრამა გრძელი სიცოცხლე, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია. არ შეიძლება გამრავლება თანხმობის გარეშე . ვერსია 5.5

| | | | | CAM მახასიათებელი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *კოდირების ინსტრუქცია: ყველა „არასწორი“, „დიახ“, „არ ვიცი“ ან უპასუხოდ დატოვების/შეუსაბამო პასუხის შემთხვევაში მონიშნეთ ბოლო სვეტში შესაბამისი გრაფა .* | | | | 1 | 2 | 3 | 4 |
| წაიკითხეთ: **რამდენიმე კითხვა მაქვს თქვენს აზროვნებასა და მეხსიერებასთან დაკავშირებით....** | | | | | | | |
| **1. თუ შეიძლება მითხრათ, რომელი წელია ეხლა?** | □ სწორია | □ უარი პასუხზე | □ მცდარია, არ იცის, უპასუხო, შეუსაბამო პასუხი | → | → | | |
| **2. თუ შეიძლება, მითხრათ, კვირის რომელი დღეა დღეს?** | □ სწორია | □ უარი პასუხზე | □ მცდარია, არ იცის, უპასუხო, შეუსაბამო პასუხი | → | → | | |
| **3. თუ შეიძლება, მითხრათ, სად ვიმყოფებით ამჟამად** (საავადმყოფო)**?** | □ სწორია | □ უარი პასუხზე | □ მცდარია, არ იცის, უპასუხო, შეუსაბამო პასუხი | → | → | | |
| **4. ახლა რამდენიმე ციფრს წაგიკითხავთ და მინდა, რომ თქვენ გაიმეოროთ შებრუნებული თანმიმდევრობით. მაგალითად, თუ მე ვამბობ 5, 2, თქვენ უნდა თქვათ 2, 5. პირველი მაგალითია „7-5-1“ (1-5-7).** თითო წამში დაასახელეთ თითო ციფრი. | □ სწორია | □უარი პასუხზე | □ მცდარია, არ იცის, უპასუხო, შეუსაბამო პასუხი | → | | | |
| **5.** მეორე მაგალითია **„8-2-4-3“ (3-4-2-8).** | □ სწორია | □უარი პასუხზე | □ მცდარია, არ იცის, უპასუხო, შეუსაბამო პასუხი | → | | | |
| **6. თუ შეიძლება, შებრუნებული თანმიმდევრობით დაასახელოთ კვირის დღეები, შაბათი იყოს პირველი დღე.** [შაბათი,პარასკევი,ხუთშაბათი,ოთხშაბათი, სამშაბათი, ორშაბათი, კვირა ]. მხოლოდ ერთხელ შეგიძლიათ მიეხმაროთ კითხვით „რომელი დღეა ....-ის წინ?“ | □ სწორია | □ უარი პასუხზე | □ მცდარია, არ იცის, უპასუხო, შეუსაბამო პასუხი | → | | | |
| 7. **თუ შეიძლება, შებრუნებული თანმიმდევრობით დაასახელოთ წელიწადის თვეები უკუმიმართულებით, დეკემბერი იყოს პირველი თვე.** მხოლოდ ერთხელ შეგიძლიათ მიეხმაროთ კითხვით „რომელი თვეა ...-ის წინ?“ | □ სწორია | □ უარი პასუხზე | □ მცდარია, არ იცის, უპასუხო, შეუსაბამო პასუხი | → | | | |
| **8. გასული დღის მანძილზე ხომ არ გქონდათ დაბნეულობის ეპიზოდი ?** ზოგად ინფორმაციასთან (მაგ, ორიენტაცია , ჰოსპიტალიზაციის მიზეზი) და არა — სამედიცინო მდგომარეობის/მკურნალობის დეტალებთან მიმართებით. | □ არა | □ უარი პასუხზე | □ დიახ, არ იცის, უპასუხო, შეუსაბამო პასუხი | | | | |
| **9. გასული დღის მანძილზე ხომ არ გიფიქრიათ, რომ არ იმყოფებოდით სინამდვილეში საავადმყოფოში?** | □ არა | □ უარი პასუხზე | □ დიახ, არ იცის, უპასუხო, შეუსაბამო პასუხი | | | | |
| **10. გასული დღის მანძილზე ხომ არ ხედავდით რაიმე ისეთს, რომელიც სინამდვილეში იქ არ იყო?** | □ არა | □ უარი პასუხზე | □ დიახ, არ იცის, უპასუხო, შეუსაბამო პასუხი | | | | |
| **დამკვირვებლის შეფასება: ივსება მას შემდეგ, რაც პაციენტი ზემოთ მოცემულ 1-10 კითხვას უპასუხებს.** | | | | | | | |
| 11ა. პაციენტს აღენიშნებოდა ძილიანობა ინტერვიუს მსვლელობისას (მოითხოვს მტკიცებულებას, რომ მას ერთხელ მაინც ჩაეძინა; მაგ.: თავი ჩამოუვარდა, შეკრთა, თვალები უკან გადაუბრუნდა, ხვრინვა ამოუშვა; თუმცა ადვილია მისი გამოფხიზლება) | □ არა | □შეფასება შეუძლებელია | □ დიახ | → | → | → | |
| 11ბ. ინტერვიუს მსვლელობისას პაციენტი იყო სტუპორში ან კომატოზურ მდგომარეობაში (მისი გამოფხიზლება რთული ან შეუძლებელი იყო) | □ არა | □ შეფასება შეუძლებელია | □ დიახ | → | → | → | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12. აღენიშნებოდა პაციენტს ჰიპერვიგილანტობა?(გადაჭარბებულად რეაგირებდა გარემოში არსებულ ჩვეულებრივ საგნებზე/გამღიზიანებლებზე, უცნაურად კრთებოდა) | ☐ არა | ☐ შეფასება შეუძლებელია | ☐ დიახ | → | → | → | |
| 13. პაციენტის აზრთა ნაკადი გაუგებარი ან ალოგიკური იყო?(გაუგებარი მეტყველება, შეუსაბამო პასუხები კითხვებზე, ურთიერთგამომრიცხავი წინადადებები ან თემიდან თემაზე მოულოდნელად გადასვლა) | ☐ არა | ☐ შეფასება შეუძლებელია | ☐ დიახ | → | → | | |
| 14. პაციენტის მეტყველება გაფანტული, უადგილოდ ჭარბსიტყვიანი ან ტანგენციალური იყო? (დასმული კითხვების შეუსაბამო პასუხები ან ისეთი ამბების თხრობა, რომლებიც არ უკავშირდებოდა ინტერვიუს შინაარსს) | ☐ არა | ☐ შეფასება შეუძლებელია | ☐ დიახ | → | → | | |
| 15. პაციენტის მეტყველება უჩვეულოდ შეზღუდული ან მწირი იყო? (შეუსაბამოდ მოკლე ან სტერეოტიპული პასუხები) | ☐ არა | ☐ შეფასება შეუძლებელია | ☐ დიახ | → | → | | |
| 16. უჭირდა პაციენტს ინტერვიუს მსვლელობისას საუბრის შინაარსისთვის ყურადღების მიდევნება? (რამდენჯერმე სთხოვდა ინტერვიუერს დასმული კითხვის გამეორებას | ☐ არა | ☐ შეფასება შეუძლებელია | ☐ დიახ | → | | | |
| 17. გარემოს გამღიზიანებლები პაციენტს ჩვეულებრივზე მეტად უფანტავდნენ ყურადღებას? (მაგალითად, ჩართული ტელევიზორი, ოთახის მიღმა მყოფი ადამიანები, სხვების საუბარი) | ☐ არა | ☐ შეფასება შეუძლებელია | ☐ დიახ | → | | | |
| 18. ინტერვიუს მსვლელობისას განიცდიდა პაციენტის ცნობიერების დონის ფლუქტუაციას? (ხშირად იძინებდა ინტერვიუს ერთი ნაწილის დროს და ხან სრულიად ფხიზელი იყო ინტერვიუს მეორე ნაწილის დროს) | ☐ არა | ☐ შეფასება შეუძლებელია | ☐ დიახ | | | | |
| 19. ინტერვიუს მსვლელობისას განიცდიდა პაციენტი ყურადღების დონის ფლუქტუაციას? (ხან ძალიან უყურადღებო იყო, ხან — ძალიან ყურადღებიანი. შენიშვნა: ამ მახასიათებლის კოდირებისთვის არ არის საკმარისი, თუ პაციენტი ზოგ კითხვას სწორად პასუხობდა, ზოგს კი — მცდარად) | ☐ არა | ☐ შეფასება შეუძლებელია | ☐ დიახ | | | | |
| 20. ინტერვიუს მსვლელობისას განიცდიდა პაციენტის მეტყველება/აზროვნება ფლუქტუაციას?(ხან ძალიან ნელა მეტყველებდა, ხან — ძალიან სწრაფად, ან მეტყველება ხან ორგანიზებული იყო და ხან არაორგანიზებული) | ☐ არა | ☐ შეფასება შეუძლებელია | ☐ დიახ | | | | |
| **არასავალდებულო კითხვები: მხოლოდ მაშინ უპასუხეთ ამ კითხვებს, თუ მახასიათებელი N1 <u>არ არის</u> მონიშნული და მახასიათებელი N2 მონიშნულია, და მახასიათებელი N3 ან N4 არის მონიშნული** | | | | | | | |
| 21. გაეცანით სამედიცინო ჩანაწერებს ან დაუკავშირდით პაციენტის ოჯახის წევრს, მეგობარს ან სამედიცინო წარმომადგენელს, რომელიც პაციენტს კარგად იცნობს, რათა გაარკვიოთ, აღენიშნება თუ არა მას მწვავე ცვლილება. „ფიქრობთ, რომ პაციენტს აღენიშნება მწვავე ცვლილებები მეხსიერებასა ან აზროვნებაში.“ | ☐ არა | ☐ შეფასება შეუძლებელია | ☐ დიახ | | | | |
| 22. თუ ჰოსპიტალიზაციის მეორე ან შემდეგი დღეებია და წინა 3D-CAM-S შეფასებები ხელმისაწვდომია: გადახედეთ წინა 3D-CAM-S შეფასებებს და ნებისმიერ ახალ „დიახ“ პასუხზე დაყრდნობით, შეაფასეთ შეინიშნება თუ არა მწვავე ცვლილება ქცევასა და ფუნქციონირებაში. | ☐ არა | ☐ შეფასება შეუძლებელია | ☐ დიახ | | | | |
| **მეთოდის შეჯამება: მონიშნეთ, თუ მახასიათებელი მონიშნულია ზედა სვეტში** | | | | 1 | 2 | 3 | 4 |
| | | | | | | | |

**არის დელირიუმი? დელირიუმის საჭირო მახასიათებლები 1 და 2, და 3 ან 4: ________ წარმოდგენიელია ________არაა წარმოდგენილი**

**რამდენად მძიმეა დელირიუმი? 3D-CAM-S სიმძიმის ქულის გამოყენებით: იმდენი ერთი ქულა დაუმატეთ, რამდენი დადებითი პასუხიც გაქვთ 1-20 დებულებებზე (დააჯამეთ მონიშნული 1-4 3D-CAM-S მეთოდის მახასიათებელთა რაოდენობა)**

**თუ 21 ან 22 დებულებას დადებითი პასუხი აქვს, საბოლოო ქულას კიდევ ერთი ქულა დაუმატეთ, ხოლო, მნიშვნელი უცვლელად (20) დატოვეთ.**

**ჯამური ქულა 3D-CAM-S მეთოდის სიმძიმის ქულის გამოყენებით: _______/20**

**ინსტრუმენტის ვალიდაციაზე პასუხისმგებელი პირი: დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფ. თამარ მაჭარაძე. ელ. ფოსტა:tamrikomacharadze@hotmail.com 20.05.24**